ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 023/1

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის №1-1/76 ბრძანების საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 31 იანვარსქ. თბილისში

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის **ხვიჩა ბენდელიანის** სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა, №12, ტელეფონი 99-10-76
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

შემსრულებელი: შპს "ორიენტ ლოჯიკი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054

მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 8, ტელ: 541818

ხელმძღვანელი: დირექტორი ვაჟა ნასყიდაშვილი
საბანკო რეკვიზიტები: სააქციო საზოგადოება "ინვესტბანკი"; ბანკის კოდი 220101710; ანგარიშის № 36020100040.

ერთის მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ – **შემსრულებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის აპარატის ასიგნების ფარგლებში ქსეროქსის აპარატის (რაოდენობა 3 ცალი) შეკეთება.

2 ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება : **135.00 ლარი.**

ასოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.1.1 ღირებულება განსაზღვრულია დანართით.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.
2.2.1 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)შემსყიდველს გაუწიოს დანართით განსაზღვრული ქსეროქსის აპარატების შეკეთების მომსახურება.
ბ)შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

3.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია :
ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3. შემსყიდველი ვალდებულია:
ა)განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება;

3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა)მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;
ბ) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;
გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ხარვეზის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

4. ხარისხი

4.1 შემსრულებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე და მისი არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია შემსრულებელს, მისი აღმოფხვრის მიზნით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: ადმინისტრაციის საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს შალვა ელიზბარაშვილს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.4 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა: ანგარიშფაქტურა.

5.6 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ადმინისტრაციის საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს შალვა ელიზბარაშვილს

6. ანგარიშსწორების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

6.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

7. ხელშეკრულების მოქმედებისა და შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 16 მარტის ჩათვლით, მხარეთა მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

7.2. მიმწოდებელი შემსყიდველს მომსახურებას გაუწევს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დადგენილ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

8.3 მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისრონ მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 8.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

8.5.მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს შესყიდვის ობიექტის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.6 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან ცალკეული მუხლის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასითი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

9.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

9.4 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, აღნიშნული გარემოების დადგომიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა აცნობოს წერილობით ხელშეკრულების მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები უნდა შეთანხმდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელების, შეჩერების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის თაობაზე რაც ფორმდება დოკუმენტურად მხარეთა ხელმოწერებით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

10.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1.ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის ატარებს წერილობით ფორმას. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ფაქსის მეშვეობით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

11.2.ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმგებლობით, რაზედაც მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 2 დღით ადრე, ასეთი განზრახვის შესახებ.

11.4ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

12. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი	შპს "ორიენტ ლოჯიკი" დირექტორი
ხვიჩა ბენდელიანის	ვაჟა ნასყიდაშვილი

გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი

№	მომსახურების დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	HP Laser Jet 1020 უსბ-ის შეცვლა	ცალი	1	35	**35**
2	HP Laser Jet 1010 თერმოფილის შეცვლა	ცალი	1	75	**75**
3	HP Laser Jet M 1120 გაწშენდა-ტესტირება	ცალი	1	25	**25**

საერთო ღირებულება	**135.00 ლარი**

შემსყიდველი:
ადმინისტრაციის სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი /ხვიჩა ბენდელიანი/

მიმწოდებელი:
შპს "ორიენტ ლოჯიკი"
დირექტორი /ვაჟა ნასყიდაშვილი/